საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

01 ნოე 2024 წ.

KA000094187582924

№ 2024/5990

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის [redacted] პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილის ექიმ(ებ)ის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, [redacted] მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის საქმეს. მოცემული საქმის შესწავლის პროცესში გამოვლინდა [redacted] პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილის ექიმ(ებ)ის მიერ [redacted] სხეულზე ნანახი დაზიანებების აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და სათანადო რეაგირების განხორციელების ვალდებულების უგულებელყოფის ფაქტი.

ფაქტობრივი გარემოებები

2024 წლის 24 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულები (პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფი) მონიტორინგის მიზნით იმყოფებოდნენ [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში. ვიზიტის ფარგლებში, სახალხო დამცველის რწმუნებულები, ამავე დაწესებულების დეესკალაციის ოთახში შეხვდნენ და გაესაუბრნენ მსჯავრდებულ [redacted] მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ 2024 წლის 21 მაისს, ამავე დაწესებულების თანამშრომელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, კერძოდ, სახეში დაარტყა პლასტმასის ფარი, ასევე, თავის უკანა მხარეს მუშტი ჩაარტყა. შეხვედრისას მსჯავრდებულს ხილულად აღენიშნებოდა დაზიანება ცხვირის არეში შეშუპებისა და მოწითალო-მოყვითალო ფერის სისხლნაჟღენთის სახით.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულების მორიგე ექიმს, [redacted] მიაწოდეს. კერძოდ, უთხრეს, რომ [redacted] სხეულზე დაზიანება აღენიშნებოდა, რასთან დაკავშირებითაც იგი აცხადებდა, რომ ის ფიზიკური ძალადობის შედეგად ჰქონდა მიღებული და ითხოვდა რეაგირებას.

ვიზიტის მიმდინარეობისას სახალხო დამცველის რწმუნებულები კვლავ შეხვდნენ ექიმ [redacted] რომელმაც განმარტა, რომ მან მოინახულა [redacted] და დოკუმენტურად დააფიქსირა მის სხეულზე არსებული დაზიანება, თუმცა მისი წარმოშობის მიზეზი არ მიუთითებია. მიზეზად კი განმარტა, რომ

[illegible] პატიმარს დეესკალაციის ოთახში ყოფნის დროს, კარებზე თავის მირტყმის შედეგად, თვითდაზიანების სახით მიეყენებინა. მისივე თქმით, აღნიშნულიდან გამომდინარე არ შეავსო საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის სპეციალური ფორმა, ასევე, არ შეატყობინა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სახალხო დამცველის რწმუნებულებს [redacted] განუმარტა, რომ იგი შეხვდა [redacted] დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანის დროს[1] და დაათვალიერა მის სხეულზე არსებული დაზიანება. ასევე, გამოკითხა დაზიანების წარმოშობის მიზეზების თაობაზე. მსჯავრდებულმა განუმარტა, რომ პლასტმასის ფარი მოხვდა, რომელიც თანამშრომელს ეკავა. ექიმის განმარტებით, თანამშრომლები მსჯავრდებულის საკანში ფარით იმიტომ შევიდნენ, რომ ამ უკანასკნელს ხელში სითხით სავსე ბოთლი ეკავა, რომელიც სავარაუდოდ იყო შარდი. ექიმის განმარტებით, აღნიშნული ძალადობას არ წარმოადგენდა და არ შეატყობინებდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

დეესკალაციის ოთახში განთავსების თაობაზე წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, მსჯავრდებული [redacted] დეესკალაციის ოთახში განთავსებული იყო 2024 წლის 21 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით.[2] დოკუმენტაციით ირკვევა შემდეგი:

- [redacted] პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტის 2024 წლის 21 მაისის მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიზანშეწონილია [redacted] გადაყვანა დეესკალაციის ოთახში მისი ქმედებებიდან გამომდინარე;
- მულტიდისციპლინური ჯგუფის 2024 წლის 22 მაისის N147114/23 დასკვნის თანახმად, რომელსაც ასევე ხელს აწერს დაწესებულების ექიმი, მიზანშეწონილი იქნა [redacted] დეესკალაციის ოთახში დატოვება;
- მულტიდისციპლინური ჯგუფის 2024 წლის 23 მაისის N148049/23 დასკვნის თანახმად, რომელსაც, ასევე ხელს აწერს დაწესებულების ექიმი, მიზანშეწონილი იქნა [redacted] დეესკალაციის ოთახში დატოვება;
- მულტიდისციპლინური ჯგუფის 2024 წლის 24 მაისის N149704/23 დასკვნის თანახმად, რომელსაც, ასევე ხელს აწერს დაწესებულების ექიმი, მიზანშეწონილი იქნა [redacted] საცხოვრებელ საკანში დაბრუნება.[3]

ხსენებული დოკუმენტაცია არ შეიცავს ინფორმაციას მსჯავრდებულ [redacted] სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის 24 მაისს, [redacted] გასინჯული იყო მორიგე ექიმის მიერ. მსჯავრდებულს, მის მიმართ წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ განცხადება/განმარტება არ გაუკეთებია. სამედიცინო შემოწმების შედეგად არც ექიმს გასჩენია ეჭვი ზემოხსენებულის შესახებ, შესაბამისად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის, ტრავმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ მომხდარა. ინფორმაცია მიეწოდა პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[4]

გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მსჯავრდებულ [redacted] ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ ეცნობა 2024 წლის 24 მაისს, [redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, რომლის თანახმად, 2024 წლის 24 მაისს, დეესკალაციის ოთახში მოთავსებულმა მსჯავრდებულმა, [redacted] შემოწმებისას განაცხადა, რომ აღენიშნებოდა დაზიანება ცხვირის მარცხენა შუა მიდამოში, დაახლოებით 2 მილიმეტრი ზომის ფერშეცვლილი ამობურცულობის სახით, რაც, მისი განმარტებით, მიიღო 2024 წლის 21 მაისს საკნიდან გამოყვანისა და დეესკალაციის ოთახში გადაყვანის დროს, დამცავი ფარის მოხვედრის შედეგად.

ამავე წერილის თანახმად, აღნიშნულზე იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოში დაწყებული წინასაგამოძიებო შემოწმების ფარგლებში, გამომძიებელი შეხვდა და გაესაუბრა მსჯავრდებულ [redacted] ამ უკანასკნელმა დაადასტურა შეტყობინებაში მითითებული ფაქტები და განაცხადა, რომ 2021 წლის[5] 21 მაისს იგი მოთავსებული იყო [redacted] ენიტენციური დაწესებულების № [redacted] საკანში, რა დროსაც, დაახლოებით 16:00 საათზე, აღელვებულ ძდგომარეობაში მყოფმა პლასტმასის ბოთლი დაარტყა საკნის კარს, რის შემდეგაც დაწესებულების თანამშრომელმა მას გამიზნულად, სახის არეში დაარტყა დამცავი ფარი, ხოლო დეესკალაციის ოთხში გადაყვანისას, დერეფანში მოძრაობის დროს, იმავე თანამშრომელმა ხელი დაარტყა კეფის არეში. მსჯავრდებულ [redacted] განმარტებით, აღნიშნულის შედეგად მან დაზიანებები მიიღო სახის არეში შესიებისა და სილურჯის სახით. მითითებულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ [redacted] შემდგარი გასაუბრების ოქმი, შემდგომი რეაგირებისათვის, 2024 წლის 27 მაისს № 6012 მიმართვით გადაეგზავნა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.[6]

სახალხო დამცველის აპარატმა ფაქტის შესახებ ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიაწოდა.[7] წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს II სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სახალხო დამცველის აპარატიდან შესული შეტყობინება შესწავლის მიზნით დაერთო ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეს.[8]

სამართლებრივი დასაბუთება

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება და დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ მათ სხეულზე არსებული დაზიანებების აღრიცხვის ვალდებულება დადგენილია საერთაშორისო სტანდარტებით. აღნიშნული სტანდარტები განმტკიცებულია აგრეთვე საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით.

პატიმრის გასინჯვისას მედიცინის მუშაკი ან კვალიფიცირებული მედდა განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოეპყრას ისეთ საკითხს, როგორიცაა პატიმართა მიმართ ძალადობრივი მოპყრობის ნებისმიერი ნიშნის ან გამოვლინების დაფიქსირება და შესაბამისი ხელმძღვანელობისათვის შეტყობინება.[9]

თუ პატიმრის მიღების დროს შემოწმებისას, ან შემდგომი სამედიცინო მომსახურების გაწევისას, სამედიცინო პერსონალის მიერ წამების ან სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის შესახებ გახდა ცნობილი, იგი ვალდებულია აღრიცხოს და შეატყობინოს ფაქტის შესახებ შესაბამის სამედიცინო, ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოს.[10]

პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას მის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში სამედიცინო პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. თუ ბრალდებულისთვის/ მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი შეამჩნევს მას რაიმე ფიზიკურ დაზიანებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს აღნიშნული პაციენტის მიმართ შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის განხორციელების ეჭვს აღუძრავდა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება ხორციელდება მისი თანხმობის არსებობის გარეშეც. პენიტენციურ დაწესებულებაში შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაზიანების აღრიცხვის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.[11]

თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეამჩნევს რაიმე სახის ფიზიკურ დაზიანებას, ემოციური მდგომარეობის ცვლილებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს აღუძრავდა ეჭვს პაციენტის მიმართ განხორციელებული შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, სქესობრივი ძალადობის ჩათვლით, სამედიცინო პერსონალი ვალდებულია, იხელმძღვანელოს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის № 131 ბრძანებით[12] დადგენილი წესით.[13]

თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი პაციენტს შეამჩნევს რაიმე სახის ფიზიკურ დაზიანებას, ემოციური მდგომარეობის ცვლილებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს ეჭვს აღუძრავდა პაციენტის მიმართ განხორციელებული შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, სექსუალური ხასიათის ძალადობის ჩათვლით, სამედიცინო პერსონალმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა ზემოაღნიშნულის თაობაზე პაციენტისგან ინფორმაციის მოსაპოვებლად.[14]

პაციენტის ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდგომ ექიმი ატარებს სამედიცინო შემოწმებას დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის ფორმის (დანართი №1) მიხედვით და ვალდებულია, დოკუმენტურად ასახოს შემოწმების შედეგები.[15]

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, მათ შორის, სექსუალური ხასიათის ძალადობის, შესახებ სავარაუდო კვალის უგულებელყოფა, არასათანადო აღწერა ან/და გაყალბება დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[16]

პაციენტის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში, თუ პაციენტი ექიმს განუცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადგილი ჰქონდა მის მიმართ წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სხვა ძალადობრივ ქმედებას (მათ შორის, სექსუალური ხასიათის ძალადობას), ან პაციენტი არ აცხადებს (ან

[illegible] დაუყოვნებლივ, სატელეფონო გზით, ხოლო პირველივე შესაძლებლობისთანავე – ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მეშვეობით აცნობებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს,[17] შეტყობინების განხორციელების თაობაზე ასევე ეცნობება პაციენტს. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინფორმირების მიზნით, ექიმი სატელეფონო გზით, დაუყოვნებლივ აცნობებს, აგრეთვე, სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[18]

პაციენტის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამ მუხლის პირველ პუნქტში არსებული გარემოებები, დაწესებულების ექიმი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ სატელეფონო გზით ან პირველივე შესაძლებლობისთანავე – ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მეშვეობით აცნობოს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. შეტყობინება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით, ისე სატელეფონო შეტყობინებით, რის თაობაზეც ასევე ეცნობება პაციენტს. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინფორმირების მიზნით, ექიმი სატელეფონო გზით, დაუყოვნებლივ აცნობებს, აგრეთვე, დაწესებულების დირექტორს.[19]

ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაწესებულების ექიმი უზრუნველყოფს შევსებული დაზიანების აღრიცხვის ფორმისა და ფოტოსურათების (ციფრული მატარებლით) შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსთვის წარდგენას.[20]

წინამდებარე საქმის ანალიზი

მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო მუშაკმა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულზე არსებული ფიზიკური დაზიანებების გამოვლენის შემთხვევაში, დროულად და ზუსტად ასახოს ისინი და იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი განაცხადებს არასათანადო მოპყრობის შესახებ ან ასეთის შესახებ ეჭვი თავად სამედიცინო მუშაკს გაუჩნდება, ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიაწოდოს. აღნიშნული აუცილებელია პატიმრის მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროული და ეფექტიანი გამოძიების წარმართვისათვის. შესაბამისად, ამ მიმართულებით ექიმის მიერ საკუთარი მოვალეობის სრულყოფილად შესრულებას, არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების წარმართვის მიზნებისთვის, ერთ-ერთი საკვანძო როლი აკისრია.

მსჯავრდებული [redacted], 2024 წლის 21 მაისს შეასახლეს დეესკალაციის ოთახში და როგორც მან სახალხო დამცველის რწმუნებულსა და შემდგომში, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამომძიებელს განუმარტა, დაწესებულების თანამშრომელმა პლასტმასის ფარი სახეში განზრახ ჩაარტყა, რის შედეგადაც სახის არეში დაზიანება მიიღო. **აღნიშნული დაზიანება ხილული იყო ჯერ კიდეც 2024 წლის 24 მაისს, როდესაც მსჯავრდებული სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს. შესაბამისად, ის ხილული იქნებოდა [redacted] პენიტენციური დაწესებულების იმ სამედიცინო მუშაკებისთვისაც, ვისაც შეხება ჰქონდა [redacted] 2024 წლის 21 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით პერიოდში, დეესკალაციის ოთახში მისი ყოფნის განმავლობაში.**

საყურადღებოა ის გარემოება, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრის განთავსებისას სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით შედგა დოკუმენტები, რომლებშიც აისახა პატიმრის მდგომარეობა მის მიმართ დეესკალაციის ოთახში განთავსებისა და შემდგომში, ამ ღონისძიების გაგრძელების საჭიროების შესახებ, **თუმცა, მის სხეულზე არსებული დაზიანებები არ დაფიქსირებულა და შესაბამისად, ინფორმაცია არ მიეწოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს,** რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების წარმართვა. **ამდენად, 2024 წლის 21 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით პერიოდში, სამედიცინო პერსონალის მიერ უგულებელყოფილი იქნა შესაძლო არასათანადო მოპყრობის შედეგად მიღებული დაზიანების აღრიცხვისა და სათანადო რეაგირების განხორციელების თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები.**

უფრო მეტიც: 2024 წლის 24 მაისს, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, [redacted] პენიტენციური დაწესებულების ექიმმა, [redacted], თავად მიაწოდეს [redacted] მიღებული ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და მიღებული ფიზიკური დაზიანებების შესახებ, ასევე, სათანადო სამართლებრივი რეაგირების თაობაზე პატიმრის სურვილის თაობაზე. შემდგომში, [redacted] მართალია, მოახდინა [redacted] სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება, თუმცა, მისი წარმოშობის მიზეზი არ მიუთითა და **ივარაუდა, რომ დაზიანება ფიზიკური ძალადობის შედეგი არ იქნებოდა, შესაძლოა, ის თვითდაზიანება ყოფილიყო და ამიტომ არ შეატყობინა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.**

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოგვიანებით, [redacted] გამოკითხა [redacted] [redacted], და დაათვალიერა მისი სხეული, რომლისგანაც მიიღო ინფორმაცია სხეულის დაზიანების წარმოშობის თაობაზე, რომ ის დამცავი ფარის მოხვედრის შედეგი იყო, თუმცა, მიიჩნია, რომ აღნიშნული ძალადობას არ წარმოადგენდა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ აცნობებდა მოცემული ფაქტის შესახებ.

ან არ განაცხადებს, თუმცა, ექიმს თავად წარმოეშობა ასეთის განხორციელების ეჭვი, მან დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონმდებლობა სამედიცინო პერსონალისგან მაქსიმალური ძალისხმევის გამოჩენას მოითხოვს, რათა პაციენტისგან ინფორმაცია იქნეს მოპოვებული. ხოლო, თუ პატიმარი ინფორმაციას არ გასცემს, ეჭვის გაჩენის შემთხვევაშიც კი, ექიმი ვალდებულია, შესაბამისად იმოქმედოს. ბუნებრივია, სამედიცინო პერსონალის მხრიდან ასეთი მოთხოვნები ნაკარნახევია იმ გარემოების გამო, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირი, რომელიც, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა, კიდევ უფრო მეტად მოწყვლადი ხდება და მან შესაძლოა, ვერც განაცხადოს მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების შესახებ შიშის ან სხვა ფაქტორების ზემოქმედების გამო.

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა სამედიცინო მუშაკისგან არ მოითხოვს იმის შეფასებას, კონკრეტულ შემთხვევაში, პატიმრის მიმართ ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი არასათანადო მოპყრობას, ან, პატიმრის სხეულზე ნანახი დაზიანება იქნებოდა მის მიერვე მიყენებული თვითდაზიანება თუ არასათანადო მოპყრობის შედეგი. ექიმმა არ უნდა შეაფასოს დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ პატიმრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ნამდვილობისა და სანდოობის საკითხი. აღნიშნული არათუ სცდება ექიმის კომპეტენციას, პირიქით, ასეთი ინფორმაციის მიღებისას მის ნამდვილობაში ეჭვის წარმოშობის შემთხვევაშიც კი, ექიმმა უნდა იმოქმედოს კანონმდებლობით დადგენილი ზემოხსენებული ინსტრუქციით, რომლის დარღვევასაც ერთმნიშვნელოვნად ადგილი ჰქონდა მოცემულ საქმეში, ექიმ [redacted] მიერ. მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების შესახებ ინფორმაცია, პატიმრის მონაყოლის საფუძველზე, ექიმმა [redacted] სახალხო დამცველის რწმუნებულებისგან მიიღო. შემდგომში, მსჯავრდებულს უშუალოდ მასთან გასაუბრებისას რომც არ განეცხადებინა არასათანადო მოპყრობის შესახებ, სახალხო დამცველის რწმუნებულებისგან მიღებული ინფორმაცია, მინიმუმ, ეჭვის გაჩენისთვის მაინც საკმარისი უნდა ყოფილიყო, რაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის მიმართვის საფუძველს ქმნიდა. თუმცა, [redacted] თავად გადაწყვიტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად მიღებული ინფორმაციისა და პატიმრის სხეულზე ნანახი დაზიანებისა, ძალადობრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ [redacted] მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით თანმიმდევრული იყო და მან ანალოგიური შინაარსის ინფორმაცია ძიაწოდა როგორც სახალხო დამცველის რწმუნებულებს, ისე, მოგვიანებით უკვე იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამომძიებელს, რის საფუძველზეც, ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა. ბუნებრივია, იგივე სახის სამართლებრივი რეაგირება განახორციელა სახალხო დამცველის აპარატმაც, რაც, ცალსახად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნას წარმოადგენს. ამდენად, სრულიად გაუგებარია ექიმ [redacted] გადაწყვეტილება, რომელმაც მოწოდებული ინფორმაცია უგულებელყო და ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ მიაწოდა.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის 24 მაისს, მას შემდეგ, რაც [redacted] ექიმმა გასინჯა, მისი სხეულის დაზიანების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ [redacted] სახის დაზიანება, მისი ხარისხისა და ხასიათის გათვალისწინებით (24 მაისს პატიმარს ჯერ კიდევ ჰქონდა დაზიანება ცხვირის არეში შესიების სახით და მოწითალო-მოყვითალო ფერის სისხლნაჟღენთი), ხილული იქნებოდა 21 მაისიდან მომდევნო დღეებშიც, და შესაბამისად, სხვა სამედიცინო მუშაკების მიერაც უნდა იდენტიფიცირებულიყო და დოკუმენტირებულიყო, რომლებსაც შეხება ჰქონდათ [redacted] 2024 წლის 21 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით პერიოდში, მისი დეესკალაციის ოთახში ყოფნის განმავლობაში,[21] 24 მაისამდე, ინფორმაცია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გარდა, არც დაწესებულების დირექტორს და იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიეწოდა. **ამდენად, ზემოხსენებული შეტყობინება გაიგზავნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დააფიქსირეს ფაქტი და ექიმ [redacted] ყურადღება მიაქციეს [redacted] სხეულის დაზიანებასა და მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. მანამდე კი, სამედიცინო მუშაკებისა და სხვა პერსონალის მხრიდან, მსჯავრდებულის სხეულის დაზიანება, მიუხედავად იმისა, რომ ის ხილული იყო, უგულებელყოფილი იქნა, რაც, დამატებით მიუთითებს კონკრეტული პირების მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაზე.**

ამრიგად, მოცემული საქმის შესწავლით გამოიკვეთა, რომ [redacted] პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო მუშაკებმა არ შეასრულეს ან არაჯეროვნად შეასრულეს სამსახურებრივი მოვალეობა და [redacted] სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ არ შეატყობინეს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, ხოლო, 2024 წლის 24 მაისამდე - არც პენიტენციური დაწესებულების დირექტორსა და იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით,

[redacted] 2024 წლის 21 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით პერიოდში, მისი დეესკალაციის ოთახში ყოფნის განმავლობაში.

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული წინადადების განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] მსჯავრდებული [redacted] დეესკალაციის ოთახიდან საცხოვრებელ საკანში 2024 წლის 24 მაისს გადაიყვანეს.

[2] [redacted] პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 31 ივლისის № 224459/23 წერილი. ინფორმაცია წარმოდგენილ იქნა სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 24 ივლისის № 2024/3146 წერილის საფუძველზე.

[3] ხსენებული დოკუმენტაცია წარმოდგენილია დეპერსონიფიცირებული სახით. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია დოკუმენტებზე ხელმომწერი პირების ვინაობა.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 27 აგვისტოს № 251951/01 წერილი. ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 24 ივლისის № 2024/3145 და 2024 წლის 19 აგვისტოს № 2024/3878 წერილების საფუძველზე.

[5] მოწოდებულ ინფორმაციაში, თარიღთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.

[6] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2024 წლის 11 ოქტომბრის № 11741 წერილი. ინფორმაცია წარმოდგენილ იქნა სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 4 ოქტომბრის № 2024/5198 წერილის საფუძველზე.

[7] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის 2024 წლის 24 მაისის შეტყობინება; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 27 მაისის № 2024/1406 წერილი.

[8] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 6 ივნისის SIS 3 24 00010999 წერილი.

[9] ევროპული ციხის წესები, წესი 42.3, პუნქტი „გ".

[10] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 34.

[11] პენიტენციური კოდექსი, მუხ. 139, ნაწ. 6.

[12] დღეის მდგომარეობით მოქმედი „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №663 ბრძანება.

[13] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის [redacted] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს [redacted] პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ", მუხ. 58, ნაწ. 6^1.

[14] „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №663 ბრძანება, მუხ. 2, პუნქ. 1.

[15] იქვე, პუნქ. 4.

[16] იქვე, მუხ. 5.

[17] დღეის მდგომარეობით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

[18] იქვე, მუხ. 6, პუნქ. 1.

[19] იქვე, მუხ. 6, პუნქ. 2.

[20] იქვე, მუხ. 7.

[21] სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაცია დეპერსონიფიცირებულია და ამდენად, სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია იმ ექიმ(ებ)ის ვინაობის შესახებ, რომელმაც/რომლებმაც შეაფასა/შეაფასეს [redacted] მდგომარეობა დეესკალაციის ოთახში ყოფნის განმავლობაში.